

A FEW ISSUES OF ETHNO-CULTURAL LIFE OF THE GEORGIANS
(ADJARIAN, ACCORDING TO TAO-IMERKHEVI MATERIALS)

ქართველთა ეთნო - კულტურული ყოფის რამდენიმე საკითხი
(აჭარული, ტაო-იმერხევის მასალების მიხედვით)

DAVID SHAVIANIDZE

Doctor of Ethnology,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University
Department of History and Archaeology
59 Tamar Mefe St., Kutaisi, Georgia
Tel: 599 49 47 70
Email: David.shavianidze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-0568-1226>

Abstract

In the analysis paper, we present new ethnographic materials on the possibility of the impact on Georgian national consciousness and the salvation from "conscriptive sacrifice" found in Adjara (villages of the village of Didachar, Mareti, Khikhadziri and Chwana valleys) and Tao-Imerkhevi villages, social and cultural relations,

We discuss the Adjarian "Gobegi" and "Ganarigi" similar in content and function to the widely-spread Georgian family division („sakhli“("house"), „Dziri“("stem"), „Fudze“("base"), „Sabudebeli“("nesting"), „Gvardziebi“("surnames"...).

The source of history, content and function of the creation of these patronymic units, currently known or unknown reality, and the new ethnographic materials allow us to consistently study the mentality, cultural mosaics, lifestyle, and defence-survival based on Turkish-Georgian and Russian-Georgian forcible political relations, as well as the enemy-driven political, social and illiteracy limitations causing the "conversion of Adjarians and Tao-Imerkhevi Georgians" into "victims of violence".

Despite the lack of communication with the rest of their ethnic group, the Adjarian and the Tao-Imerkhevans preserved language, self-awareness, and other ethnic and cultural features on the basis of the knowledge of "we" and "they". They did it by "not going away from the awareness of Georgian identity" and by consistently "retaining sense of nationality, decent, and a time-tested life of pedigree and the rules of Justice."

The terms, toponyms, and other types of ethnographic material presented by us makes it clear that the basis for the survival of the Georgian world outlook along with the predominance of the Georgian worldview was independence; survival condition for Georgian-Georgians ("We are one pillar with Georgians. That's why we refer to each other like this: "brother"; "I am a Christian by nation, and a Muslim in faith") was flexible behaviour ("politics of behavior"), conversing relationships with elements of foreign culture and lifestyle, disguise of active intolerance, discipline, and managed idle compromise; Constant readiness to save psychology ("inner voice") dictated by historical relations.

The result of the "Dazaboreba" and "sacrificial" state of the locals into "savages" imposed by the Ottomans and Russians, the Soviet rulers ("Russian communists") was the "sacrificial" state of the "savages" of the "hostile domestics", the "Nachalnik thinking", the "back-and-forth landslide", the policy

which, in fact, resulted into the change of self-awareness of some of the auto Georgians, and into their socio-cultural "retreat".

keywords: "Nesting"; "Surnames"; "Lifestyle"; "Flexible behaviour(/"Politics of behaviour"); Psychology(/"Inner voice"); „Soviet rulers“(/"Russioan comunists"); "Dazaboreba policy"; "Nachalnik Thinking".

დავით შავიანიძე

ეთნოლოგიის დოქტორი,
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 59
ტ. ფუტკარაძის სახელობის
ქართველოლოგიის კვლევითი ცენტრის
მეცნიერ - თანამშრომელი
ტელ: 599 49 47 70
Email: David.shavianidze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-0568-1226>

აბსტრაქტი

საანალიზო ნაშრომში წარმოადგენთ აჭარაში (სოფელ დიდაჭარის, მარეთის, ხიხაძირისა და ჭვანას ხეობათა სოფლების) და ტაო-იმერხევის ქართულ სოფლებში მოძიებულ, საზოგადოებრივ-ყოფით-კულტურული ურთიერთობებზე, ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის და „წვევნილი მსხვერპლობიდან“ თავდახსნის ამსახველ ახალ ეთნოგრაფიულ მასალებს.

ვიმსჯელებთ საქართველოში ცნობილი, გვარის განაყოფის სახელების („სახლი“, „ძირი“, „ფუძე“, „საზუდებელი“, „გვარზიები“...) შინაარსობრივ-ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსი, აჭარული „გობეგის“ და „განარიგის“ შესახებ.

აღნიშნული პატრონიმული ერთეულების შექმნის ისტორიის, შინაარსისა და ფუნქციის ამსახველი, დღემდე ნაცნობი და უცნობი სინამდვილის წყარო, ახალი ეთნოგრაფიული მასალები საშუალებას გვაძლევენ თანმიმდევრულად შევისწავლოთ თურქულ-ქართული და რუსულ-ქართული იძულებით პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველზე დამდგარი მენტალობის და კულტურული მოზაიკურობის, მყოფადობის („ცხოვრების წესი“) დაცულობა-გადარჩენის შესახებ; მტრის მიერ „შემოზღუდულ“ პოლიტიკურ-სოციალურ, გაუნათლებლობის საზღვარში მოქცეულ აჭარელთა და ტაო-იმერხევის ქართველთა „ძალადობის მსხვერპლად ქცევის“ შესახებ.

საკუთარი ეთნოსის დანარჩენ ნაწილთან კომუნიკაციური შესაძლებლობების არ ქონის მიუხედავად, „ჩვენ“ და „ისინის“ ცოდნის საფუძველზე აჭარელმა და ტაო-იმერხეველებმა ენა, თვითშეგნება, ეთნიკურობის სხვა ყოფით-კულტურულ მახასიათებლები შეინარჩუნეს, „ქართულობისაგან არ წავიდნენ“ გათვლილი და თანმიმდევრული „ჩვენებურობის დაცვის, რიგანი, დროით გამოცდილი ჯილაგის და რჯულის კანონით ცხოვრებით“.

ჩვენ მიერ განსახილველად გამოტანილი ტერმინებით, ტოპონიმებით, სხვა და სხვა სახის ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ მათგან ქართული მსოფლხედვის გადარჩენის საფუძველი საკუთარის სხვებისაზე უპირატესად დასახვა-გამორჩევასთან ერთად იყო თვითმყოფადობა; ქართულ-ქართველურის გადარჩენის („ქართველებთან ერთი ბურჯები ვართ. ამიტომ მივმართავთ ასე, „ძმაო“; „ქრისტიანი ვარ ნაციით, სარწმუნოებით ვარ მუსულმანი“) განმაპირობებელი იყო, ლავირებული ქმედება(/„ქცევის პოლიტიკა“), უცხო კულტურის და ყოფის ელემენტებთან დიალოგური ურთიერთობები, აქტიური ინტოლერანტულობის შესანიღბი დისციპლინირებულობით და მართული მოჩვენებითი კომპრომისულობა; ისტორიული ურთიერთობებით ნაკარნახევი ფსიქოლოგიის(/„შინაგანი ხმა“) გადამრჩენი მუდმივი მზაობა.

ოსმალთა და რუსი, საბჭოელი მმართველების(/„რუსკომუნისტი“) „დაზაბორების“, ადგილობრივთა „მსხვერპლად ქცევის“, „გაბეჩვული“ მდგომარეობის მიზეზი მტრის „დამქაში შინაურების“ „ნაჩალნიკური აზროვნება“, „წინ წყალი და უკან მეწყერის“ პოლიტიკის შედეგი იყო ავტოქტონ ქართველთა ნაწილის თვითშეგნების ცვლის, სოციალურ-კულტურულად „უკანდახეული“ მდგომარეობაც.

საკვანძო სიტყვები: „საბუდებელი“; „გვარზიები“; მყოფადობა(/„ცხოვრების წესი“); ლავირებული ქმედება(/„ქცევის პოლიტიკა“); ფსიქოლოგია(/„შინაგანი ხმა“); საბჭოელი მმართველების(/„რუსკომუნისტი“); „დაზაბორების პოლიტიკა“; „ნაჩალნიკური აზროვნება“.

სტატიის შესავალი/Introduction:

ქართველთა ეთნო-კულტურული პრობლემების მრავალმხრივი და მრავალჯერადი კვლევის მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი რამაა ისეთი, რაც მოითხოვს განხილვა-გაანალიზებას, შევსებას.

ზედმიწევნით სრულყოფილი შედეგის მიღწევისთვის ისევე ვდგევართ საქართველოს ყველა მხარის ლოკალურ მახასიათებელთა კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევის, თუნდაც ნაკვლევ თემასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების მოძიების ნაცად და მართებულ გზაზე, მეტი არგუმენტირებისთვის, სიახლისთვის.

შესწავლის საგანი - აჭარისა და ტაო-იმერხევის გვარის განაყოფის, „განშტოებით“ ნათესაური, ზოგადად სოციუმის ერთობის აღმნიშვნელი სახელების შინაარსობრივი და ფუნქციური მსგავსება დანარჩენ საქართველოში გავრცელებულ მსგავს სახელებთან.

ქართველთა ხანგრძლივი ისტორიის მთელ მანძილზე, ეთნიკურ-კულტურული მახასიათებლების შეცვლის არა ერთი მიზეზი არსებობდა. ასეა დღესაც, კულტურული გლობალიზაციის ხანაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსჯელო საკითხის განვიხილვამდე წარმოვადგენთ, „მტრობა მორეული“ აჭარის და „მტრისგან დატყეპილ-წართმეული“ ტაო-იმერხევის ქართველთაგან მენტალობის შენარჩუნების, თვითშეგნების უცვლელობა-მდგრადობის ამსახველ, უახლეს ეთნოგრაფიულ მასალებს.

აჭარისა და ტაო-იმერხევის ჩვენეული მასალების სხვათაგან მოძიებულ, გამოქვეყნებულ მასალებთან შედარება-შეჯერება ახალი, ლოკალური მახასიათებლების წარმოჩენის, კვლევის განახლებულ შედეგებზე გასვლის მცდელობაა; დაზუსტდება და გადაიხედება საქართველოს ეთნო-კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ-კულტურულ მდგომარეობასთან დაკავშირებული, დღემდე გამოთქმული მოსაზრებები.

მეთოდები/Methods: კომპლექსურ-ისტორიული, შედარებითი ანალიზის, შედარებით-ისტორიული, ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები.

შედეგები/Results: ისტორიის, ეთნოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, ლინგვისტიკის, ანთროპონიმის, ფოლკლორისტიკის და სხვა მეცნიერებათაგან შესასწავლი სოციალურ-კულტურული და რელიგიური სიტუაციების კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის შემცველი ეთნოგრაფიული მასალები მოგვითხოვს ქართველთა ეთნოსის ცხოვრების წესის („ცხოვრების პოლიტიკა“), საზრისის („ცხოვრების გამოცდილი წესი“), ყოფით მახასიათებელთა მერყეობა-მდგრადობის მიზეზ-საფუძვლების, საკუთარეროვნულის გადარჩენის გზა-საშუალებების შესახებ.

მტკიცდება, რომ ხალხის მეხსიერებაში, ამ ერთგვარ მუზეუმ-არქივში შემორჩენილი სანდო მასალები, საქართველოს ობიექტური, წარსული ისტორიის საკითხთა შემსწავლელი წყაროა.

მსჯელობა/Discussion:

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენეული ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებენ დღემდე ცნობილ სინამდვილეს, ოსმალეთთან და რუსებთან, „რუს კომუნისტებთან“ ურთერთობების გზაზე „დახმარების ვერგამბედავი, სურვილიდანაც დაცლილი ქართველების დამოკიდებულების გამოც“ აჭარელთაგან და ტაო-იმერხეველ „ჩვენებურთაგან“ რელიგიის, „ქართული ცხოვრების, ჯილაგის მიერ გამართულ-დადგენილი“ სოციალურ-ყოფითი, კულტურული ცხოვრების ზოგიერთი წესის შეცვლის შესახებ.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ვერ მივხედეთ, წიგვიღეს აფხაზეთი. ოსების ქვეყანა დაარქვენ გული ქართლის ნაწილს. მსგავსმა ქმედებებმა თავის დროზე ხელი შეუწყო თურქის და „რუსკომუნისტების“ ხრიკებს და აჭარასა და ტაო-იმერხევეში ნაწილობრივ შეიცვალა ყოფითი ცხოვრების წესი, ურთიერთობები; მიღწეულ იქნა აჭარელთა თათრად გამოცხადება-მოხსენიების მიზანი, თუმცა ვერ მიაღწიეს აჭარელთა უუნარობად, ისეთ არსებებად დატოვებას, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება აერჩიათ, სცოდნოდათ სად მდგარიყვნენ და თავი დაიხსნეს ლამის წვევნილი მსხვერპლობიდან“ (მთხრობელი გ. ცინცაძე. სოფელი ტაკიძეები. 2023).

„1978 წელში მათემატიკის გამოცდაზე გამომცდელმა მეორეს გადაულაპარაკა, „აჭარელი თათარი ყოფილაო...“

ჩვენთან იყო თბილისიდან პროფესორი ქალი და ძალიან მეწყინა როცა გვითხრა რომ მე აქ თათრები მეგონენო. რა გვემჩნევა ჩვენ ასეთი“ (მთხრობელი ზ. დარჩიძე. მახალაკიძეები).

თვითშეგნების, ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის, თვითმყოფადი ცხოვრების („ჯილაგისმიერ დადგენილი წესი“) არდაკარგვის შესახებ ცნობილია, რომ თავისუფლება მოქმედება, ნების, აზრისა და გრძნობის განხორციელება, პიროვნების, სინდისისა და რწმენის თავისუფლებაა, თქმის უფლებაა (<https://publika.ge/blog/ra-aris-tavisufleba/>).

1. ენა, სინამდვილის შესაბამისი ქცევის უზრუნველმყოფელი.

აჭარლებისთვის და ტაო-იმერხევის ავტოქტონი ქართველებისთვისაც მშობლიური ქართული ენა ფორმაში მომაქცევი ფიქრის, რწმენის, განწყობის, „ბევრის მომთხრობი“, შეცნობილი სინამდვილის გადმოცემის, შესაბამისი ადეკვატურობის, კულტურის გადარჩენის საშუალება იყო.

ეთნოგრაფიული მასალა:

„გვერდში არ გვიდგა არავინ, მიტიებულმა, ტანჯვით შივინახეთ ენა. ნენები გვასწავლიდნენ, გვიქარგავდნენ სულს ქართული ენით (მთხრობელი ნ. ხოზრევანიძე. დიდაჭარა. 2009).

„შენის გადარჩენის გზაზე მთავარი ოყო ენა. შენ ენაზე იცოდი ძველის ქვეყნიზა თავგადახდენილი. ნენებისგან ნასწავლმა ფიქრმა ქართულით მოტანილმა ჩვენებურის გადამრჩენელი ქმედებების მომთხოვმა ამბებმა დაგვტოვა ქართველებად“ (მთხრობელი ნოდარ ცინცაძე. სოფელი ტაკიძეები. 2023)“.

„...ნენეს ტკბილი კალთიდან ჩვენ ცხოვრების გზას ვიწყებთ.
 მოდი გვერდით დამიჯექ, მხარი დამიმშვენე,
 დედა-ენა ჰატიჯე ვინ გასწავლა?
 ნენემ.

ნენე, ნენე, ნენე.
 ბიჭოვ ბიჭოვ ჰასან, აბა გაიხსენე, ქართული ვინ გასწავლა.
 ნენემ, ჩვენმა ნენემ“.

„ქართული დიდი ენაა. ერთი სიტყვა ოზდაათი ფერათ ითქმება, ზოგი აჰა, ბევრი. ქართულზე დიდი რომანი დიიწერება, იმფერია, სავსე ხარ. სხვა ენაზე გადასწიო, დაპატარავდება. სხვა ენაზე იმხელას მცოდნელი ვედარ იქნება. მარტო ტიფლისის, ბათუმელი, ქუთაისის ენითაც არ დიიწერება. აქიური, კუთხის ენაც უნდა იცოდეს. თავდან დიდ იყო. მოსულა მტერი და თქვენკე შერეულია ოსმანის, რუსის. „ორჟინალი“/შვილოვნელი ენა აქაა, ვინახავთ“, გვითხრეს მთხრობელებმა ხევაიში.

1.1. „თავისუფლების ქართული კოდი“

„თავისუფლების შინაგანმა ქართულმა კოდმა“ აძლევინა აქარლებს და ტაო-იმერხევის ქართველებს ფიზიკურ და სხვა სახის ძალადობრივ მანქანებზე, შეანარჩუნებინა ეთნიკურ-ეროვნული მახასიათებლები; გახდა ეთნიკური თვითშეგნების შემნარჩუნებელი, „**მსხვერპლად ყოფნის მდგომარეობაში არ ჩავარდნის**“ საშუალება.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ჩვენი დედები აქ მოსულან ახლანდელი საქართველოდანაც, თავი მუარჩინოთო. თურქში მიდიოდი, მუსლიმანათ ხთებოდი და ინარჩუნებდი, ქართველად ყოფნობას“ (სოფელი ბიჩაქ ჩილარი. 2022).

შემოდნენ რუსები აჭარაში და ჯამეები ააშენეს დაპირისპირებისთვის (მთხრობელი ი. აბაშიძე. მახალაკიძეები. 2017).

„ქართველები ერთი ვართ. ამიტომ ვიტყვით „ძმად“. მომხედე, ახლა შიიძლება და მომეხმარე, არ დაკარგო ჩემი გადარჩენილი ქართულობა (მთხრობელი შაბან ხაჯიშვილი. ბალხი. 2022)

ქრისტიანი ვარ ნაციით, სარწმუნოებით მუსულმანი. იძულებული ვიყავი და გავმუსულმანდი. ქართველობა არ დამიკარგავს. რა დავაშავე?“ (მთხრობელი არჩ. ტაკიძე. სოფელი ქანევრი. 2023).

„მე, რომ მძიმე გზა მქონდა, თათრობის არაფერი ვიცი რატომ ვარ თათარი? დავუშვით და ვიყო თათარი, ვარ სომეხი, ვარ რუსი. რა ახლა ქართველი კაცი მე მაგით მჩაგრავ? მე ქართველი ვარ სულით, გულით. ორი შვილიშვილი მყავს მაგენს შევწირავ ბიჭის მხრიდან, ორი შვილიშვილი მყავს გოგოს მხრიდან იმგენს შევწირავ ჩემს საქართველოს მიწას. ასე ვარ და მაფიქრებს ქართველი კაცის აზრზე, რომ ჩემზე თათარს ათქმევინებს“ (მთხრობელი ჯამბულ ფუტკარაძე. მთა ჩირუხი 2017).

ბევრი წვიდა ჩაქვიდან, ქობლეთიდან, აჭარიდან თურქეთში. ისეთი აგიტაცია გაწიეს, რომ იქ კაი ცხოვრება იყო. არადა ზღვის პირზე მოკვდა ხალხი ჩვენი, გემით გედევდენ აქედან, წიყვანეს მოლებმა, ხოჯიებმა ჩვენი ხალხი და ზღვის პირზე დაყარეს ფეხმძიმე ქალები მშვიდმწყურვალე დეიხოცენ. ოსმალებს იარაღად გაუნათლებლობა ქონდენ მომარჯვებული, რომ დიგვეკარგა თავისუფლება, მარა თავი არ დავკარგეთ, დავდექით ჩვენის სადარაჯოზე (მთხრობელები ჯ. ცეცხლაძე, მ. შარვაშიძე. დარჩიძეები. 2017).

ჩვენი ხაზგასმე: 1. ჩაქვი და ქობულეთი არაა დასახელებული აჭარის ნაწილად; 2. მსგავს „მსგავს მართალს“ შეხვედები აჭარის ყველა სოფელში, ტაო-იმერხევის ქართველთა უმრავლესობაში.

1.2. ისტორიული მეხსიერება, ეთნიკური „ბუნების გამომხატველი სიმბოლოები“, ხასიათი და თვისებები

ქართული ეროვნული ხასიათის განსაკუთრებულ თვისებები, პასუხისმგებლობა-გამძლეობა, „უცხოურისადმი ჩაკეტილობა“ და იმავდროულად „მოჩვენებითი კომპრომისულობა“ უმძლავრებდა „ლამის მსხვერპლადქცეულ“ ჩვენებურებს ცოდნას იმისას, რომ ყოფილიყო სოციალურ გარემოში ადაპტირებული, შეეცნო საკუთარი თავი და ასე „შეწყობოდა ხელი“ საკუთარ ეროვნულის შენარჩუნებას.

ცნობილია, რომ: 1. მოთხოვნილებასთან ერთად ჩნდება სიტუაციის სათანადო, შესაბამისი მზაობა. მუდმივად მიმდინარე პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული პროცესები უზრუნველყოფს ცვალებადი განვითარების შედეგად მიღებულის, მენტალური ცვალებადობის, ინდივიდთა და თემის ფსიქოლოგიის თაობებისთვის დატოვებას (უზნაძე დიმიტრი, 1886-1950 <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/dimitri-uznadze-V-III.pdf>); 2. მავნე ჩვეულებებში, ანუ იმ ქცევებში, რასაც არ აკეთებენ ძლიერი ადამიანები, ეს არის საკუთარი თავის შეცოდება და წუწუნია. ანუ ეს ხალხი მსხვერპლის მდგომარეობაში არ არის, არ წუწუნებს, რომ ეს რა დამემართა, მთავრობამ რა მიქნა, მენეჯმენტმა რა მიქნა, დამკვეთმა რა მიქნა, ბიძაშვილმა, მეზობელმა და ასე შემდეგ. ეს არ ნიშნავს, რომ არ ტკივათ და პრობლემები არა აქვთ, მაგრამ ესეთი ჩვევა არა აქვთ, რომ დრო და ენერჯია დახარჯონ საკუთარი თავის შეცოდებაში და წუწუნში (ჯეჯელავა ალ. <https://wisdom.ge/962/> დადასტურება 11.03. 2024).

ეთნოგრაფიული მასალა:

„მსხვერპლად არ მინდოდა თავი და არ დავკარგე პასუხისმგებლობა. ჩემი საკეთებელის კონტროლით გადივირჩინე ქართველობა, შენც გადივირჩინე გამუსულმანებულმა ქართველმა. შენ სამშობლოში ცხოვრობ, თავს თურქად ამბობ, სოფელს მოთურქულედ, ღალატია. თხილვანას ნაწილზე ამბობენ თურქულიაო“ (მთხრობელი დ. აბაშიძე. სოფელი სკვანა. 2021).

ჩვენი კვლევის ობიექტად არჩეულ, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეთა ავტოქტონ ქართველებს „მამლიერებელად“ აღნიშნულ დამოკიდებულებასთან, ისტორიულ მეხსიერებასთან, სხვა უამრავ მახასიათებლებთან ერთად ჰქონდათ ქართული „ფსიქოლოგიისდარი სიმბოლოები“: ვაზი და დედაბოძი.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ვენახი მაქვს“, გამოთქმა ტაო-იმერხევის ქართველისთვის ნიშნავს, რომ ვცხოვრობ „ნაყოფიანად“, სტუმრიანი ხარ და ამით ნათდება ოჯახი. მოყვრიანი, მტერზე თავგართმეული ვარ. ჩვენებურებისთვისაც დიდია სტუმრიზა სუფრის „მირიგება“. სტუმრის მასპინძლობას ვენახიანი კაცი შეძლებ. ვენახი გაქვს, ესე იგი, სახლობ, სათესიც გაქვს, მოყვარე გიხარია. მტრის პასუხის გაცემა შიგიძლია. სტუმარს შიიყვან, სუფრას „მუურიგებ“ (მთხრობელი ჰუსეინ იაზი. ქობაი 2022წ).

„ჩვენი პირადობის მოწმობა, პასპორტი არის ვაზი. ქართველობის ჩვენი ნიშა რომ იყო ვაზი, კარგად გვასწავლიდნენ. მერე 90-იანში (მეოცე საუკუნე-ვაზი ჩვენია), თაობამ ვერ ნახა სარგებელი... არ დაიტვირთა თავი და აიჭრა ვაზი. რუკომუნისტებისგან დაკარგული ხალხი ბევრი იყვნენ. ქართულობის მოსპობაზე მიდგომა იყო. არ იყო, რომ მაჰმადიანობა ღვინოს კრძალავს, მნიშვნელობა აღარ ჩააგდეს ვაზის. აგერ მეჩეთია, მეჩეთს ყავს დაახლოებით ერთი ათი კაცი, ამდენიც აღარ დადის. მოხუცები დადიან მეჩეთში. ამ დროს ვაზი იჭრება. არაა მთლად რელიგიური, შიგნი გაამტერენ, ჩვენშივე“ (მთხრობელი მ. მაკარაძე. ოლადაური. 2017).

აჭარელთა მეტყველებაში ქართულობის შესახსენებლად დედაბოდის(/ბურჯი) სინონიმად გაჩნდა ქართველთა ეგზოეთნონიმი, სპარსულ-არაბული „გურჯი“.

1.3. ისტორიული მეხსიერება, მუდმივად მზარდი საბრძოლო დამოკიდებულება და „კონტროლით ქცევა“

ისტორიის რთულ და ხანგრძლივ გზაზე თვითშეგნების შემნარჩუნებელი, „ბეჩობიდან“/„ბლაცობიდან“ გადამრჩენი, „მსხვერპლად ყოფნის მდგომარეობაში არჩავარდნის“ საშუალებები იყო: მეხსიერება, უშიშარობა შენის გადარჩენისთვის ბრძოლის გზაზე.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ხიხბირის ხეობელი, გმირი ალის 10-12 შვილი მარტო იგერიებდა მტერს. ერთხელაც მტრის სამას კაციანმა ჯარმა დიიჭირა. ვეზირებმა ურჩიეს ხელმწიფეს, ნუ მოკლავ, გოგო მიეცი და მამამისთან ერთად მოგიტანსო ქართველების თავებს. მამის და ნენეს რჯულის უარყოფაზე უარის შემდეგ ხელმწიფემ ალის შვილი ლოდით დაალოდვინა. გოგომ ღამე ორი ცხენი მიიყვანა, ახსნა ლოდი და გამოიპარენ. თათრის ხელმწიფემ: „გოგო მომპარა, გადამირჯულებს, პირშავი დავრჩითო“ და ჯარი გამოუყენა. ბიჭის მამამ სიზმარი ნახა, შვილი გასაჭირშია, დახმარება ჭირდებაო. დააკვირნა და მუუსწრო. ალიმ, ჯარის უფროსს უთხრა, „სამასი წლის ვარ, არ გავმუსლიმანებულვარ და არც ჩემი შვილი იზამს სხვასო“ და მოჭრა თავი მტრის უფროსს. მისი გაქრისტიანებული შვილი კი რძლად მოიყვანა“.

ქართულის შენარჩუნებისთვის ბრძოლის რეალიზების საშუალება იყო გამოთვლა-განსაზღვრის, კონტროლით ქცევის უნარი, მოჩვენებითი კომპრომისულობა.

ეთნოგრაფიული მასალები გვახსენებენ მსგავს, ქართული გენეტიკის მატარებელ, „ერის ფსიქოლოგიისგან არგანსხვავებული ხედვის მქონე“ სახელ-გვარებს (სოლომონ მაკარაძე იყო პირველი მდივანი, მიხეილ ხოზრევანიძე იყო, მურმან ჭალაიძე იყო, ნოდარ ცეცხლაძე), რომლებიც „დიპლომატიურად უდგებოდნენ, ქართულით მიქონდათ ხალხამდე და ჩვენი მხარე არ ზარალდებოდა არაფერში (მთხრობელი სულიკო ბოლქვაძე ჭვანას ხეობა, ხაბელაშვილები 2023).

2. შინაარსით და ფუნქციურად მსგავსი გვარის განაყოფის, ნათესაური ერთობის აღმნიშვნელი სახელები ისტორიულ და დღევანდელ საქართველოში

„ადგილებიზა შერჩენილი ქართულით შედგენილი, ვინ შექმნა და ვინ ვართ, სა ვცხოვრობთ იმის მომყოლი სახელები, ძველი ვინ გყავდა, იმის შემომნახველი, ბევრი წესის, მაგალითად სისხლში ქორწინობა რომ არ შიიძლება მოკარნახე, ძირსახლის სახელი, გვარი შენსას გახსომებდა“ (მთხრობელი ჟ. ქამადაძე. სოფელი ბაკიბაკო. 2022 წელი).

იქიდან გამომდინარე, რომ აჭარული და ტაო-იმერხეული გვარების შესახებ საკუთარი აზრი უკვე არაერთგზის გვაქვს გამოთქმული (*მსჯელობისათვის იხილეთ: შავიანიძე, დ. კირთაძე, შ. (2022). რედაქტორები: ყავრელიშვილი, რ. დადიანი, ე. ქუთაისი; შავიანიძე, დ. გაბელაია, ი. (2014). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები III. ქუთაისი; „ქართველური მემკვიდრეობა“. (2010). XIV; საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“. (2010). მასალები; საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“. (2009). მასალები. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი. სხალთის ეპარქია.), ყურადღებას გავამახვილებთ შინაარსით და ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსი გვარის განაყოფის და ერთობის აღმნიშვნელ სახელებზე: „გობეგი“, „განარიგი“, „გვარზიები“, „მოწყდომა“, „მონაწყვეტი“, „ნეკი“, „ჭიპი“/„ჭიპი ძმობა“, „საბუდებელი“, „სახლი“, „მუძუნაწოვარი“, „ზურგმიყუდებელი“.*

2.1. „გობეგი“, „განარიგი“, „გვარზიები“, „მოწყდომა“, „მონაწყვეტი“, „ნევი“, „ჭიპი“/„ჭიპი ძმობა“, „საბუდებელი“

აჭარული და იმერხევის ქართველთა გვარის განაყოფის სახელები „გობეგი“, „განარიგი“ დასავლეთ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში დადასტურებული „ძირის“, „ფუძის“ და „საბუდებელის“, ეთნოლოგ ნუგზარ მგელაძის მიერ ტაო-კლარჯეთის „ჩვენებურებში“ დადასტურებული ტერმინის -**მოწყდომა** იდენტურია; შინაარსობრივად მსგავსია აგრეთვე: ტაო-იმერხეულის „გვარზიები“, ქართულ ენა-კილოებში გავრცელებული „**მონაწყვეტი**“, „ნევი“, „ჭიპი“ და „ჭიპი ძმობა“.

ეთნოგრაფიული მასალა:

„დიდაჭარის მკვიდრი თურქობამდელი **ჩელებამეები** (<ჩელება) თურქობაში გახდნენ „ჩელებოლები“. რუსობამ ჩელებამეების საცხოვრის უბანში მცხოვრებ ყველა „ჯიშს“ და „განარიგს“ გობამე დაარქვა. „განარიგის“ სახელად შენარჩუნდა **ჩელებამე** (შავიანიძე, დ. (2009). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ (მასალები). გვ.165).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზემო აჭარაში „გობეგი“ (თურქული გობეკიდან) თაობის აღმნიშვნელი ტერმინია. აღნიშნებოდა ჭიპი, საბნის გული, კარგი. მისადგომი საყანე ადგილი, სადაც ქარი არ უდგებოდა (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა. (2019). გვ. 138).

ვრცელი ციტირება: ტაო-კლარჯული დასახლება – **სოფელი** (თურქულად ქოი) ლოკალიზებულ ნათესაურ – გენეალოგიურ ჯგუფებს აერთიანებდა. აქ არ დასტურდება გვარსახელით გამოხატული კლასიკური მნიშვნელობის გვარი, არამედ სახეზე გვქონდა პატრონიმიული ორგანიზაცია, რომელიც ერთი საერთო წინაპრიდან წარმომდგარი გენეალოგიური ჯგუფებისაგან შედგებოდა. მათ დღეს უფრო გავრცელებული ტერმინი – „სულალე“, კლარჯეთში კი „ყებილე“ც ეწოდება. სულალესა და ყებილეს გვერდით კლარჯეთში ჩვენ ტრადიციული პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელად ქართული ეთნოლოგიისათვის დღემდე უცნობი ქართული ტერმინი – **მოწყდომა** დავადასტურეთ. „მოწყდომა“ რაღაცისაგან მოწყდომის, რაღაცისაგან სეგმენტირების, უფრო ზუსტად, სეგმენტირებული შტოს შინაარსითაა დატვირთული და პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური განტოტების, როგორც სოციალური გაერთიანების შინაგან არსს, უშუალოდ გადმოგვცემს, წერს ნუგზარ მგელაძე („ქუთაისური საუბრები“ XXVIII. 2024. გვ.121-134).

ეთნოგრაფიული მასალა:

„განაყოფი გვარის სისხლნაწილია, ერთი მოწყდომაა გვარიც და განაყოფიც, ერთი საბუდებელია (მთხრობელი გ. კირკიტაძე. მუხურა. 1993).

„გვარის ყველა „თური“ ჩემი გვარის ფუძიდან, ბუდიდანაა გასულიცალკე ცხოვრობს, შეიძლება შორსაც, მაგრამ შენია (მთხრობელი ზ. გაბელაია“. ნოღოხაში).

ჭიპი ზემო აჭარულში წისქვილისა და ახლად ამოყვანილი ყველის გუნდა, ნაწყვეტია (ქეგლ. გვ. 723).

„ერთი ჭიპის ხალხია“, „ჭიპის ძმები“ („ღვიძლი ძმები“), ანუ ერთის ნაწილი, აბსოლუტურად მსგავსი, ერთნი არიან, გეტყვიან იმერეთში, სამეგრელოში (ერთი ჭიპის ძმები არიან/ართ **ჩუპაშ ჯიმალეფ რენია**; ერთად რომ არიან, ისეთები არიან/ართო **რენანი ეფერეფი/ართო მულანი ეფერეფი**), სვანეთში („**სამხუბ მეხუბარალ**“/„**წამა ლახუბა**“) და ზოგადად საქართველოში; გეტყვიან იმასაც, რომ „ერთი მონაწყვეტი“, „წყება“ ხალხია“.

შდრ., ლეჩხუმურში **მოწყებული დაწყებული** - ეს სხვა წყებაა, ნაწილია ოღონდ შენი (ქეგლ. გვ. 387).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული, გასაზიარებელი მოსაზრების შესაბამისად, „განაყარი“, „განაყოფი ოჯახები“ შესაძლოა ცხოვრობდნენ ძველი სახლიდან მოშორებით (ქართველები. (2016). რედაქტორები. ბერიაშვილი, ლ. მელიქიშვილი, ლ. გამომცემლობა „პალიტრა L“. გვ.366), თუმცა ეს არ ნიშნავს „განარიგის“, „გამრიგოს“ „მონაწყდომის“ და ა.შ. „საბუდებლი-დან“ მოშორებას, გარიყვის მიზნით. თუნდაც შორს მცხოვრები, „სახლობის“ სოციუმის ერთი წევრი გაიზარება „ძირის“ ნაწილად.

2.2. „სახლი“, „ძუძუნაწოვარი“, „ზურგმიყუდებელი“

მტრისაგან გამუსულმანებულ აჭარაში და საქართველოსაგან მოწყვეტილი „ჩვენებურებში“ ერთ „სახლად“, ძირად(„ძირისად“) ყოფნა, ქართულტრადიციული, ეროვნულ-კულტურული, „ქორად“¹ ყოფის მიერ დადგენილი, გაუყოფელად ცხოვრების წესის(„ჯილაგობის წესი“) იდენტურია.

ეთნოგრაფიული მასალა:

„სახლი ფუძის განაყოფების, ძმანიშვილების, სისხლ-ხორცის სახელია და მარტო საცხოვრისი არა, მთლად საბუდებელის, ყველა წევრის ჭკუა და ძალაა (მთხრობელი ჯ. ქათამაძე. ძუყნური 1995წ).

„სახლი“ სვანურ საოჯახო-სამეტყველოში გავრცელებული, (მიშგუ ნისხიზინე (ბალსქვემოურად), მიშგვი ზისხი ზინე (ბალსზემოური), შიყლაჭიდ ქორ და ეშხუ ქორ@შის) (ერთი ბაბუას სახლობა, საიდანაც მოდის რამდენიმე სახლობა) იდენტურია. აღნიშნავს ჩემი სისხლსა და ხორცს, ჩემ ზნე-თვისებას.

ტაოური „ძუძუნაწოვარი“ და ტაო-იმერხეულის „ზურგმიყუდებელი“/სისხლის ძმა, ხელ-ოვნურად შეძენილი ნათესავი, მეგობარი, საერთოქართველურის „ძმადნაფიცის“, სვანურის შიყლაჭიდ/ზურგმისაყუდებელის, იდენტურია.

შიყლაჭიდ - ზურგმისაყრდენი, საიმედო, ჭირ-ლხინში გვერდით მდგომია, ხოლო **შიყლაჭიდ ქორ** - ზურგმისაყუდებლები, შენი სახლისაა, ვისთანაც, როგორც იტყვიან „ერთ ჯოხზე გვიკიდია ხელი“. სვანურად **ეშხუ ფაუს ლაზინგად**.

შეიძლება თქვა და მართალიცაა, რომ მეცნიერებისთვის ცნობილია ისტორიულ და დღევანდელ საქართველოში გავრცელებული გვარის განაყოფის, ნათესაური ერთობის აღმნიშვნელი სახელების შინაარსით და ფუნქციურად მსგავსების შესახებ, თუმცა, ამ ჭეშმარიტებას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს ახალი ეთნოგრაფიული მასალები. საქართველოს სხვადასხვა მხარეთა ლოკალური მახასიათებლების შეჯერება მეტად თვალნათელს ხდის იმას, რომ აჭარელთაგან რელიგიის შეცვლა ეროვნულობის შეცვლის ერთი საშუალება იყო, რომ დღეს ჯერ კიდევაა ტაოსა და იმერხევის ქართველებში შენარჩუნებული ქართულ-ქართველური.

დასკვნა

„მტრის მიერ დაწესებულ ზღვარ-საზღვარში“ მოქცეული საქართველოს ნაწილის მკვიდრი აჭარელებისთვის და ტაო-იმერხეველებისთვის საკუთარი ეთნოსის დანარჩენ ნაწილთან კომუნიკაციური შესაძლებლობების არარსებობის მიუხედავად შენარჩუნდა ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის, „ჩვენ“ და „ისინი“ გაგება და ამ საფუძველზე ქართული მენტალობა.

დღევანდელ სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით მოდერნიზებულ მსოფლიოში, უკეთესი ყოფის ძიების კვალზე მდგომი აჭარელებიცა და ტაო-იმერხეველი ქართველობაც გაედინება სოფლიდან, ძირსაცხოვრისიდან ცენტრებში, ქვეყნის გარეთ. აღნიშნულის გამო თურ-

¹ ნიშანდობლივია, რომ ფერხულ „ქორბელას“ მსოფლმხედველობა ერთობის, ერთმანეთით დგომისაა, მეფერხულეთა წრე, ერთმანეთის მხრებზე შემდგარი ადამიანების ფერხული, ერთგვარი სართულეობანი ნაგებობა, კოშკი თუ ციხეა.

ქეთის საქართველოს ავტოქტონ ქართველებში დღემდე გადარჩენილი ქართული ტრადიციული ცხოვრების წესი, თვითშეგნება, ენა თანდათან, სამომავლოდ ვეღარ უზრუნველყოფენ ნაციონალური კავშირების მეტად ერთობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბოჭორიძე, გ. (1992). *მოგ ზაურობა სამცხე-ჯავახეთში*. თბ.
- გურია-აჭარის გვარსახელები (ორი სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). (2009). საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი. სხალთის ეპარქია. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, მასალები.
- თოფჩიშვილი, რ. (1997). როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ.
- თოფჩიშვილი, რ. (2005). რელიგიური სიტუაცია საქართველოში. ზოგადისტორიული მიმოხილვა. ეთნოისტორიული ეტიუდები წიგნი I. *ენა და კულტურა*. თბილისი.
- მგელაძე, ნ. (2024). ტაო-კლარჯეთის ტრადიციული დასახლების პატრონიმიული სტრუქტურა თურქეთში. „*ქუთაისური საუბრები*“, XXVIII. 2024
- მაისურაძე, ი. (1990). *ქართული გვარსახელები*. თბ.
- პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (1991). ტ. I.
- პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (1993). ტ. II.
- პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (2007). ტ. IV.
- რუსული პატრონიმებისა და გვარების გაჩენის ისტორია. როგორ და როდის გამოჩნდა პატრონიმიკა რუსეთში.. <https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2014-po-literature/istoriya-vozniknoveniya-russkih-otchestv-i-familii-kak-i-kogda-na-rusi.html>
- სინონიმების ლექსიკონი.. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/91080/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98>
- სოესლია, ო. (1973). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან*. თბ.
- ტბეთის სულთა მატანე. (1977). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიუბლები დაურთო, თ. ენუქიძე. თბ.
- ფუტკარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. თბ.
- ქართველები*. (2016). ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ. რედაქტორები ლ. ბერიაშვილი, ლ. მელიქიშვილი. გამომცემლობა „პალიტრა L“. გვ.366.
- ქართველთა მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*. (2011). რედაქტორი. მეტრეველი. ავტორ შემდგენელი: არჩვაძე, გ. ბოკუჩავა, მ. გელაძე, თ.
- ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი*. (2019). აჭარა.
- ქართული გვარსახელები (ზემო აჭარის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). (2010). „*ქართველური მემკვიდრეობა*“. XIV.
- ქართული გვარსახელები (ზემო აჭარის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)*. (2010). საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია. „დიდაჭარობა“ (მასალები).
- ღლონტი, ა. (1984). *ქათულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბ.
- ღლონტი, ა. (1986). *ქართველური საკუთარი სახელები*. თბ.

- შავიანიძე, დ. (2009). *ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდაჭარაში*, სხალთის ეპარქია. ტბელ აბუსერისძის ხსენებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია. (მასალები).
- შავიანიძე, დ. კირთაძე, შ. (2022). ართვინი (ეთნოგრაფიული ნარკვევი). ართვინი და ართვინის რეგიონი. *წარსული და თანამედროვეობა*. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. (რედაქტორები: ყავრელიშვილი, რ. დადიანი. ე.). ქუთაისი.
- შავიანიძე, დ. გაბელაია, ი. (2014). ტოპონიმები ქართველთა ეთნიკური, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ყოფის შესწავლის წყარო (აჭარის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). *საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები III*. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები III. ქუთაისი.
- ჩიქოვანი, თ. (1989). *ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები*. თბ.
- ჭიჭინაძე, ზ. (1967). *ქართველთა გამუსლიმება*. თბ.
- Сумбадзе, Лонгиноз. (1964). *Дарбази, древнейший тип грузинского народного жилища и его место в истории архитектуры*. Тб.

REFERENCES

- boch'oridze, g. (1992). mogzauroba samtskhe-javakhetshi. tb.
- guria-ach'aris gvarsakhelebi (ori soplis etnograpiuli masalis mikhedvit). (2009). sakartvelos sap'at'riarkos ts'minda t'bel abuserisdzis sakhelobis universit'et'i. skhaltis ep'arkia. saertashoriso-sametsniero k'onperentsia „didach'aroba“, masalebi.
- topchishvili, r. (1997). rodish ts'armoikmna kartuli gvarsakhelebi. tb.
- topchishvili, r. (2005). religiuri sit'uatsia sakartveloshi. zogadist'oriuli mimokhilva. etnoist'oriuli et'iudebi ts'igni I. ena da k'ult'ura. tbilisi.
- mgeladze, n. (2024). t'ao-k'larjetis t'radivtsiuli dasakhlebis p'at'ronimiuli st'rukt'ura turketshi. „kutaisuri saubrebi“, XXVIII. 2024
- maisuradze, i. (1990). kartuli gvarsakhelebi. tb.
- p'irta anot'irebuli leksik'oni. (1991). t'. I.
- p'irta anot'irebuli leksik'oni. (1993). t'. II.
- p'irta anot'irebuli leksik'oni. (2007). t'. IV.
- rusuli p'at'ronimebisa da gvarebis gachenis ist'oria. rogor da rodish gamochnda p'at'ronimik'a rusetshi.. <https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2014-po-literature/istoriya-voznikoveniya-russkih-otchestv-i-familii-kak-i-kogda-na-rusi.html>
- sinonimebis leksik'oni.. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/91080/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98>
- soeslia, o. (1973). nark'vevebi peodaluri khanis dasavlet sakartvelos sotsialur-p'olit'ik'uri ist'oriidan. tb.
- t'betis sulta mat'iane. (1977). t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva da sadzieblebi daurto, t. enukidze. tb.
- put'k'aradze, sh. (1993). chveneburebis kartuli. tb.
- kartvelebi. (2016). qvelaperi kartvelta k'ult'urisa da etnosis shesakheb. redakt'orebi l. beriashvili, l. melikishvili. gamomtsemloba „p'alit'ra L“. gv.366.
- kartvelta mat'erialuri k'ult'uris etnograpiuli leksik'oni. (2011). redakt'ori. met'reveli. avt'or shemdgggeneli: archvadze, g. bok'uchava, m. geladze, t.
- kartveli khalkhis etnologiuri leksik'oni. (2019). ach'ara.

- kartuli gvarsakhelebi (zemo ach'aris ramdenime soplis etnograpiuli masalis mikhedvit). (2010). „kartveluri memk'vidreoba“. XIV.
- kartuli gvarsakhelebi (zemo ach'aris ramdenime soplis etnograpiuli masalis mikhedvit). (2010). saertashoriso-sametsniero k'onperentsia. „didach'aroba“ (masalebi).
- ghlont'i, a. (1984). katul k'ilo-tkmata sit'qvis k'ona. tb.
- ghlont'i, a. (1986). kartveluri sak'utari sakhelebi. tb.
- shavianidze, d. (2009). etnograpiuli eksp'editsia didach'arashi, skhaltis ep'arkia. t'bel abuserisdzis khsebisadmi midzghvnil saertashoriso-sametsniero k'onperentsia. (masalebi).
- shavianidze, d. k'irtadze, sh. (2022). artvini (etnograpiuli nark'vevi). artvini da artvinis regioni. ts'arsuli da tanamedroveoba. ist'oriul-etnograpiuli nark'vevebi. (redakt'orebi: qavrelishvili, r. dadiani. e.). kutaisi.
- shavianidze, d. gabelaia, i. (2014). t'op'onimebi kartvelta etnik'uri, sotsialur-k'ult'uruli da p'olit'ik'uri qopis shests'avlis ts'qaro (ach'aris etnog-rapiuli masalis mikhedvit). sakartvelos ist'oriis p'roblemuri sak'itkhebi III. ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is resp'ublik'uri sametsniero k'onperentsiis shromebi III. kutaisi.
- chikovani, t. (1989). etnoarkeologiuri et'iudebi. tb.
- ch'ich'inadze, z. (1967). kartvelta gamuslimeba. tb.
- Sumbadze, Longinoz. (1964). Darbazi, drevnejshij tip gruzinskogo narodnogo zhilishha i ego mesto v istorii arhitektury. Tb.

მადლიერება: ჩვენი მადლიერება გვინდა დავუდასტუროთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოველწლიურ, სტუდენტთა, თუ ინდივიდუალური ექსპედიციების წარმატებულ გამართვას.

მადლობა ჩვენ მასწავლებელს, ბატონ როლანდ თოფჩიშვილს, აწვარდაცვლილ ტარიელ ფუტკარაძეს, ყველას ვისაც ჩვენ მკვლევრად ჩამოყალიბებაში წვლილი შეიტანა.

მადლობა ისტორიული და დღევანდელი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულთა მკვიდრთ, რომელთაც თანამედროვეობას და აწმყოს ქართველთა ყოფით-კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური, სხვადასხვა მეცნიერებისთვის საჭირო პირველწყარო ეთნოგრაფიული მასალები (ვფიქრობთ წარმოდგენილი, ჩანართის სახით მოხმობილი, მთხრობელთა ერთეული წინადადებებიც საკმარისია!) შემოგვინახეს.